პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 204 (12412) | ხუთშაბათი, 30 აგვისტო, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.



სკოლა ველით, პაწაია მეგობრებო!

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ვ. ულბრიხტს

იალტა, 28 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება დასასვენებლად, და მასთან ჰქონდა დაწვრილებითი საუბარი. ამ მეგობრული საუბრის დროს, რომელმაც გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, განხილულ იქნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხები.

გმირული მატიანე

გამოვიდა ფუნდამენტური შრომის „საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ისტორიის“ მეოთხე ტომი, რომელიც მომზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობამ. ტომში გაშუქებულია დიდი სამამულო ომის მესამე პერიოდის პირველი ორი სამხედრო კამპანიის ამბები, იგი მოგვითხრობს გამარჯვებებზე, რომლებიც ჩვენნა შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს 1944 წელს.

„საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ისტორიის“ მეოთხე ტომი

ტომში გაშუქებულია კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა ფრონტისა და ზურგის განმტკიცებისათვის. ბრძოლებმა, რომლებიც ამ წელს მოხდა, დაადასტურეს, რომ წითელი არმია გადაიქცა მრისხანე ძალად, რომელიც ყოველმხრივ სჯობნიდა მტრის არმიას, და რომელმაც გიგანტური ზარალი მიაყენა მას. ამან შედგენა გერმანელ ფაშისტთა დივიზიებისა და ბრიგადების საერთო რაოდენობის თითქმის 60 პროცენტი, რომლებიც გაანადგურეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1941-1944 წლების შეტევითი კამპანიების დროს.

ტომში დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ გამარჯვებანი, რომლებიც წითელმა არმიამ მოიპოვა 1944 წელს, მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა სამხედრო ხელოვნების, ფრონტის გმირთა მხედრული ოსტატობის უპირატესობას. ამ წლის ოპერაციები დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა სამხედრო აზროვნების განვითარებაში. დაგროვებულმა საბრძოლო გამოცდილებამ შესაძლებელი გახადა დამყარებულიყო ფრონტების, შეიარაღებული ძალების სახეობათა და ჯარების გვარეობათა უფრო ზუსტი ურთიერთმოქმედება. ჯარების მძღოლობის მაღალმა დონემ შესაძლებლობა მოგვცა ბევრ ოპერაციაში მიგვეღწია მოწინააღმდეგის დიდ დაჯგუფებათა გარემოცვისა და მოსპობისათვის.

კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ტომში ღრმად გაშუქებულია დიდმნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ წითელი არმიის გამარჯვებანი 1944 წელს განაპირობა საბჭოთა ზურგის მშრომელთა გმირულმა შუშაობამ, რომელმესაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა. მუშათა კლასმა 1944 წელს მიაღწია დიდ წარმატებებს სამხედრო პროდუქციის გამოშვებაში. წიგნში დასახელებულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი მოწინავე. განსაკუთრებით აღნიშნულია ქალებისა და ახალგაზრდობის გმირული შრომა. გამოტანილია დასკვნა, რომ საბჭოთა ზურგის წარმატებანი შესაძლებელი გახდა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით.

აშუქებს რა 1944 წლის სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურ მოვლენებს, დიდი სამამულო ომის ისტორიის მეოთხე ტომი ფართოდ გვიჩვენებს ხალხთა მასების შემოქმედებითს საქმიანობას. წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკას, რომლის როგორც უმაღლესი მთავარსარდლის როლი ოპერაციათა გეგმების შემუშავებაში იმ დროს მეტისმეტად გაზვიადებული იყო. სიხამდვილეში ეს გეგმები ფრონტებისა და ჯარების გვარეობათა ბანაკის, გენერალური შტაბის, სარდალთა კოლეგიტიური შრომის ნაყოფი იყო.

მკითხველი წიგნში იპოვის პასუხს ბევრ რთულ კითხვაზე, რომლებიც წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენმა ჯარებმა გადალახეს საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრები და შეასრულეს თავიანთი დიადი ისტორიული მისია — ჰიტლერელთა უღლისაგან გაათავისუფლეს ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ხალხები. წითელი არმიის საბრძოლო მოქმედების გაშუქება განუყოფლად დაკავშირებულია პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლასთან; ნაჩვენებია მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების პოლიტიკა და ტაქტიკა ამ პერიოდში, გაშუქებულია, თუ საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებათა გავლენით როგორ მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა ხალხთა მასების ანტიფაშისტური ბრძოლა.

ტომს აქვს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, ილუსტრირებულია დოკუმენტური ფოტოსურათებით, რუკებით, მხატვრული სურათების რეპროდუქციებით. ტომის შედგენის დროს გამოყენებულია ბევრი საარქივო დოკუმენტი, წიგნები და მასალები, რომლებიც გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირში, აგრეთვე ვრცელი უცხოური წყაროები და ლიტერატურა. დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად იბეჭდება.

დიდი სამამულო ომის ისტორიის მე-4 ტომის მომზადების დროს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს დიდი დახმარება გაუწევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პარტიის ისტორიის ინსტიტუტებმა.

ამქამად, როცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების ხელშეწყობის შედეგად გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინებამ მნიშვნელოვან განეითარებას მიაღწია, ხოლო რევანშიზმის იდეები ფართოდ გავრცელდა დასავლეთ გერმანიაში, დიდი სამამულო ომის ისტორიის მეოთხე ტომის გამოსვლას, რომელშიც ფართოდ გაშუქებულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გიგანტური ძლიერება, განსაკუთრებული პოლიტიკური აქტუალობა ენიჭება. ამ ტომის მასალები ძლიერ ლახვარს სცემენ ისტორიის ფალსიფიკატორებსა და „ცივი ომის“ იდეურ მებაჯრეებს, აშუქებენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირულ გამარჯვებათა წყაროებს, ამაღლებენ ხალხთა მასების როლს ფაშიზმისაგან განთავისუფლებაში, ფართოდ გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელ მისიას.

შრომით და სწავლით

ტყიბული. (საკ. კორ.). დასავლეთის შახტის მთავარ მექანიკოსს შ. კაკაბაძეს ამას წინათ ახხნაგებმა გულთბილად მიულოცეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ელექტრომექანიკური ფაკულტეტის წარმატებით დამთავრება.

ამქამად დაუსწრებლად სწავლობს ბევრი სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანი. ტყიბულ-ვანახშირის ტრესტის მთავარი ენერგეტიკოსი ს. ბობოხიძე, რომელმაც 39 წელს გადაამბიჯა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-ელექტრომექანიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტია. დასავლეთის შახტის მეორე საექსპლოატაციო უბნის უფროსი ივ. ორჯონიკიძე და ზეიკალი ა. ცირკოიძე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლებიან სამთო საქმეს. ახლა ისინი IV კურსის სტუდენტები არიან.

ასე ათავსებენ ისინი შრომას და სწავლას.

გული სიხარულს ვერ იტევს...

თბილისის 88-ე საშუალო სკოლამ დედაქალაქის ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი, როგორც მოსწავლეთა კომუნისტური ხელისკვეთებით აღზრდის მოწინავე კერამ. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ კანონის შესაბამისად აქ პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეთა არმია ყველაფერს აკეთებენ სწავლისა და შრომის გონივრულად შეერთებისათვის.

არა მარტო მოსწავლეებისა და პედაგოგების, არამედ მშობლების, ყველა მნახველის გულს ახარებს საუკეთესოდ მოწყობილი სკოლის შენობა, მისი საკლასო ოთახები, კაბინეტები, სახელოსნო, სპორტული მოედანი და დარბაზი, სუფთა, განიერი დერეფნები. ყურადღებას იპყრობს მოსწავლეთა მიერ გაკეთებული კერამიკული ნაწარმი, რომელიც სპეციალურ დარბაზშია გამოფენილი.

ამ სურათზე აღბეჭდილი მოსწავლეთა ერთი ჯგუფი გულნი ეწვნა მშობლიურ სკოლას (დირექტორი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ი. გიორგაძე). მათ ესაუბრება ხალხის სახსნავლო ნაწილის გამგე დ. გედევანიშვილი.

ფოტო გ. გოგოხიასი და ვ. წიკლაურისა.

აჭარა ეგებება

აჭარის რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სერიოზულად მეკიდნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს. გულს ახარებს ხულოს რაიონის ხულოსა და სიხაძირის, შუახევის რაიონის უჩამბის, ქედის რაიონის მახუნცეთისა და ხარაულას, ქობულეთის რაიონის № 1 საშუალო სკოლების, მახუნცეთისა და კირნათის სკოლა-ინტერნატების კარგად შეკეთებული შენობები. აღნიშნული სკოლების დირექტორებმა ყველა წვრილმანი გაითვალისწინეს, შეკეთებულია მაგიდები, მერხები, წესრიგში მოყვანილია სასწავლო კაბინეტები. ადრევე ჩაატარეს სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა და კლასებიც დაკომპლექტეს. ახალი სასკოლო შენობების მშენებლობის საქმეს კარგად მოკიდეს ხელი შუახევის რაიონში. აქ ჯერ კიდევ ივნისში დაიწყეს ტბეთის, ქიძინიძეებისა და ხაბელაშვილების 8-წლიანი სკოლებისათვის ოც-ოც ოთახიანი შენობების აგება. ეს სამუშაო 20 აგვისტოსათვის თითქმის დამთავრებული იყო.

რ. გორგაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ყველაფერი გავშვებისათვის!..

გორის რაიონში მომავალი თაობის აღზრდის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

პირველ სექტემბერს პირველი ზარი აწკრიალდება ძველის სამუშაო სკოლის ახლახან დამთავრებულ შენობაში. იგი 320 მოსწავლისათვის არის განკუთვნილი. სკოლის ფართო საკლასო ოთახები, ნათელი კაბინეტები, ლაბორატორიები და სახელოსნოები ახალი ინვენტარითა და ხელსაწყოებით არის აღჭურვილი.

ოდინარი დიდი მუშაობაა გაჩაღებული ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების კანონის შესაბამისად შვიდწლიანი სკოლების რვაწლიან და სამშუალო სკოლების თერმემტწლიან სწავლებაზე გადაყვანის მთლიანად გახსოვიელებისათვის. წელს ამ მიზნით არსებულ სასკოლო შენობებს ოცდაათამდე ოთახი მიუშენდა, რაც გამოყენებულ იქნება საკლასო ოთახებად, სასწავლო კაბინეტებად და სახელოსნოებად.

— ყველაფერი ბავშვებისათვის! — ამ დევიზით მუშაობს გორი.

ა. ჩხეიძე,
გორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

160.000 ტონა ჩაისათვის

დაძაბული შრომაა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში. მეჩაიეები ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვიან. მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მკრეფავია კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ელენე წოკლაური. მან უკვე მოკრიფა 7.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ და გადაწყვიტა კიდევ მოკრიფოს 800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სურათზე: მეჩაიე ე. წოკლაური.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეკონომის ფონდი — კომუნიზმს!

არის დანაზოგი

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივი შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულების ინიციატორად გამოვიდა და ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ახორციელებს. წარმოებაში მოკლე პერიოდში ჩქარი ტემპით განვითარდა ტექნიკა და მკვეთრად გაიზარდა ელმავლების გამოშვება. აქ გათვალისწინებულია 1963 წლისათვის ათთვისონ შვიდწლედით გათვალისწინებული საპროექტო სიმძლავრე. ამ დროისათვის ჩვენი რესპუბლიკა ელმავალშენებლობის დარგში უკან მოიტოვებს ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორც საფრანგეთია.

ქარხნის კოლექტივი ამ წარმატებას იმით აღწევს, რომ შეუფერხებლად ნერგავს ახალ ტექნიკასა და დეტალების დამუშავების ახალ ტექნოლოგიას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. ამის შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიღწეულია საამაყო მაჩვენებლები.

გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 1.7 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიით მიღებულია დიდი ეკონომიური ეფექტი. რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში უკვე შეტანილია 247 ათასი მანეთი.

რით მიაღწია ქარხნის კოლექტივმა ასეთ დიდ წარმატებასა და ეკონომიურ ეფექტს?

ელექტრომანქანების საამქროში მოეწყო წევის ძრავის კორპუსების დამუშავების ნაკადური ხაზი, რისთვისაც დამოსტაჟებული იქნა მთელი რიგი უნივერსალური და სპეციალური უნიკალური შიგამჩარხავი და შიგამრიდავი ჩარხები. ამ ნაკადურ ხაზს მიეტანა კიდევ სპეციალური შიგამჩარხავი და 16 შპინდელიანი საბურღავი აგრეგატული ჩარხები, რომლის საშუალებით ერთდროულად წარმობს წევის ძრავის კორპუსის პოლუსების 16 ნახვრეტის გაბურღვა, ამ მანქანების დადგმით წევის ძრავის კორპუსის გაბურღვაზე შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კორპუსის დამუშავების ციკლი 23 საათით შემცირდა.

მექანიკურ საამქროში დამონტაჟებულ და გაშვებულ იქნა ათეულზე მეტი ავტომატური ჩარხი, რომლებიც ამზადებენ ელმავლის დეტალებს. ამ ჩარხებს მეთვალყურეობას უწევს მხოლოდ ერთი კაცი. ამას გარდა ქარხანაში ფართოდ დაინერგა დეტალების დატვიფრვა, რაც საწარმოს დიდ ეკონომიურ ეფექტს აძლევს.

ქარხნის კონსტრუქტორების მიერ გაუმჯობესებულ იქნა ბუქსაობის რელეს კონსტრუქცია, რის შედეგად მიღწეულია ამ აპარატის მგრძნობიარობის გაზრდა, გაბარიტული ზომების, წონის შემცირება და 60 პროცენტით ნაკლები ენერგიის მოხმარება.

ეკონომიურ ფონდი — კომუნიზმს!“ აკეტოურად გამოხმაურა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის კოლექტივი და შეიდწლედის მეოთხე წლის პირველ ნახევარში წარმოებაში ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია.

რა გაკეთეს თბილისელმა ჩარხმშენებლებმა, რა მიღწევები აქვთ ეკონომიის დარგში? ქარხანაში გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, საწარმო აღიჭურვა მაღალი წარმადობის მოწყობილობით, ინსტრუმენტებით, საექსპლოატაციოდ გადაეცა ნაკადური ხაზები ჩარხების დეტალების მექანიკურად დამუშავებისათვის. უკანასკნელ წლებში ქარხანა შეიესო რამდენიმე ასეული ლითონსაჭრელი ჩარხით, წარმოება აღიჭურვა ელექტროხდური ამწეებით და ამწე-კოჭებით. დიდი ეკონომიური ეფექტი მოუტანა წარმოებას ჩარხების დეტალების დამზადებამ პროგრესული მეთოდით, წარმოებაში მზადდება რამდენიმე ასეული ტონა დეტალები.

ტექნიკური პროგრესის დარგში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა თვითეულ სახარატო ჩარხზე დაეზოგა 127 ელოგრამი ლითონი. თვით ჩარხის დამზადების შრომატევადობა რამდენიმე ასეული საათით შემცირდა.

ქარხანაში უნივერსალური ჩარხების გამოშვება იზრდება საწარმოს ფართობის გაუდიდებლად, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საწარმოო ფართობის კვადრატულ მეტრზე გამოშვების გადიდების გზით. ტექნიკური პროგრესის გზით და ახალი ტექნიკის დანერგვით წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდამ 1963 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს მიაღწია და მკვეთრად შემცირდა ჩარხების თვითღირებულება.

გარდა იმისა, რომ ჩარხმშენებლები ყოველწლიურად ზრდიან ჩარხების გამოშვებას, ამავე დროს ითვისებენ ახალი მოდელის ჩარხებს. აქ ათვისებულია 10-ზე მეტი ახალი მოდელის ჩარხები.

ქარხნის კოლექტივს ახალი ჩარხების ათვისებაში ხელს უწყობს ის, რომ აქვს მძლავრი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელშიც ამჟამად 114 კაცი მუშაობს.

ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების შედეგად წლის პირველ ნახევარში ქარხნის კოლექტივმა დიდ ეკონომიურ ეფექტს მიაღწია. **შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,5 პროცენტით გადიდდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიით მიღებულია დიდი რაოდენობით ზეგეგმიური ეკონომია და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 135 ათასი მანეთი.**

თბილისის მანქანათმშენებელთა მოწოდებას „ეკონომიის ფონდი — კომუნიზმს!“ აქტიურად გამოეხმაურა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის კოლექტივი და შეიდწლედის მეოთხე წლის პირველ ნახევარში წარმოებაში ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია.

ჩარხმშენებელთა წვლილი

ეკონომიურ ფონდი — კომუნიზმს!“ ეკონომიის ფონდი — კომუნიზმს!“ აქტიურად გამოეხმაურა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის კოლექტივი და შეიდწლედის მეოთხე წლის პირველ ნახევარში წარმოებაში ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია.

საზოგადოებრივ საწყისებზე

მოსკოვის ეკონომიური რაიონის მრეწველობის სრულყოფისა და განვითარების საბჭო

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მოსკოვის საქალაქო ეკონომიური რაიონის მრეწველობის სრულყოფისა და განვითარების საბჭო. ამ საბჭოს ამოცანაა განიხილოს და მოამზადოს წინადადებანი და რეკომენდაციები მრეწველობისა და მისი სპეციალიზაციის პერსპექტივი განვითარების, ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერებასთან კავშირის განმტკიცების, აგრეთვე საწარმოთა ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლების საკითხებზე.

საბჭოს შემადგენლობაში 89 კაცია. მათ შორის: სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს, მთავარმოსკოვმშენის, საქალაქო საგეგმო განყოფილებისა და მთავარი საარქიტექტურო-საგეგმო სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები, დედაქალაქის მსხვილ საწარმოთა დირექტორები და ნოვატორები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებათა მუშაკები. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა—ინდოეთის 14 ენაზე

დელი, 29 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი **ვ. მატიაში** იტყობინებს:

ინდოეთში მასობრივი ტირაჟით — 250 ათას ცალად გამოიცა თოთხმეტ ძირითად ინდურ ენაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მშვიდობის მოიცავდა დიად ფორუმზე ინდოეთის პროგრესული საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს. უბრალო ინდოელებმა, რომლებმაც საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლა წაიკითხეს, ჩვენს კორესპონდენტს გაუზიარეს თავიანთი აზრები.

„ამ შესანიშნავ სიტყვაში, — ამბობს ო. პ. პალიალი, რომელიც სრულიად ინდოეთის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ასოციაციის ადგილობრივ კომიტეტში მუშაობს, მეტად მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მშვიდობიანი თანაარსებობისა და უომო მსოფლიოს იდეა. ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით დასავლეთში, რომლებიც ეკვით ეკიდებიან მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას, როცა ბ-ნ ხრუშჩოვის ისტორიულ სიტყვას ეცნობიან, რწმუნდებიან მშვიდობიანი თანაარსებობის უპირატესობაში. საბჭოთა პრემიერის გამოსვლა მოწმობს აგრეთვე, რომ მთელი საბჭოთა ხალხი გულწრფელად იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ტრიუმფისათვის. პირადად ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ნიკიტა ხრუშჩოვის — მთელი მსოფლიოს მშრომელთა, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ყველაზე ერთგული მეგობრისა და ხელმძღვანელის შესანიშნავმა გამოსვლამ“.

მოსკოვის კონგრესის დელეგატები, პარლამენტის დეპუტატები მოგზარან გუპტა, სანტოკს სინგჰი, ქალბატონი მაია დევი ჩეტრი, პროფკავშირული მუშაკი დედდატ ატალი, ჟურნალისტი რანა ჯანგ ბაადურ სინგჰი და ბევრი სხვა მშვიდობის მომხრე, რომლებსაც ვესაუბრეთ, აღტაცებით ეხმაურებიან ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებას კონგრესის ტრიბუნიდან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

წარსულ კვირაში დელიში გაიმართა ორი მიტინგი მშვიდობის დასაცავად, და ორივეჯერ დარბაზში ტაშმა იგრიალა, როცა ორატორები ლაპარაკობდნენ საბჭოთა ადამიანებისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის წვლილზე მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ და წმიდა საქმეში. საბჭოთა მთავრობა გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობას, ნაზგასმით აღნიშნავენ ინდოეთის უბრალო ადამიანები, და ამის შესახებ მათ ერთი აზრი აქვთ.

საზეიმო საღამო ბრანდენბურგში

პრაღა, 29 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბრატისლავაში გაიმართა საზეიმო საღამო სლოვაკიის სახალხო აჯანყების მე-18 წლისთავის გამო, როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, საღამოზე გამოვიდა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ფ. დვორსკი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სლოვაკიის სახალხო აჯანყებამ მტკიცე საფუძველი შექმნა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის და დიდი რევოლუციური სკოლა იყო ჩეხოსლოვაკიის მშრომელებისათვის. მებრძოლი ხალხი მაშინ დარწმუნდა, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მეგობარი. ასეთი მეგობარი იყო საბჭოთა კავშირი, რომელმაც სავსებით დაუჭირა მხარი ჩეხოსლოვაკიის ხალხს მის ბრძოლაში.

ქვლავ „ჯამუში თანამგზავრი“

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკდესი). სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაცხადა, რომ 28 აგვისტოს პოლარულ ორბიტაზე გაშვებულია ახალი „ჯამუში — თანამგზავრი“, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს სამხედრო-საჰაეროო ვანდენბერგის სამხედრო-საჰაეროო ბაზიდან (კალიფორნიის შტატი).

ატლანტიკური ვიოლარეგა

ვაშინგტონი, 29 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის ეკონომიურ შტატებში გუშინ წარდგინება გაუკეთა ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს იმის გამო, რომ უკანასკნელ დღეებში იყო შემთხვევები, როცა უცნობი პირნი უკანონოდ შევიდნენ მთელი რიგი საბჭოთა კორაბლებზე სამშუალო ოთახებში ნიუიორკში.

სსრ კავშირის საელჩომ ნაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი მოქმედება ქმნის არანორმალურ ვითარებას საბჭოთა ეკონომისტების მუშაობისათვის შეერთებულ შტატებში.

ფაშისტი განდიფცების თარეში

ბერლინი, 29 აგვისტო. (საკდესი). ფაშისტი ხულიგნები დასავლეთ ბერლინში თავს დესხნენ ინდოეთის კავშირის მუსლიმური ლიგის გამოჩენილ მოღვაწეს, მის ყოფილ თავმჯდომარეს, ამდურაამან ხანს და ქვეშით დაამავეს იგი. როგორც ადნის საგენტო იუწყება, ამდურაამან ხანს თავს დაესხნენ მაშინ, როცა იგი ცდილობდა აღეკვეთა ფაშისტი ხულიგნების ჯგუფის პროვოკაციული მოქმედება საბჭოთა ყარაულის წინააღმდეგ საბჭოთა მეომრების ძეგლთან დასავლეთ ბერლინში.

რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში
ელმავალმშენებლებმა 247 ათასი
მანეთი შეიტანეს, ჩარხმშენებლებმა
—135 ათასი მანეთი.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ შესახებ დასავლეთ ევროპაში („საერთო ბაზარი“)

თეზისები

უკანასკნელ ხანს იმპერიალიზმის ეკონომიკაში, პოლიტიკაში, იდეოლოგიაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა „საერთო ბაზრის“, ანუ დასავლეთ ევროპის ეგრეთწოდებული „ინტეგრაციის“ საკითხებმა. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ბრძოლას მონოპოლიების შეთქმულების წინააღმდეგ, რომელიც ასახულია „საერთო ბაზარში“. ქვემოთ გამოქვეყნებული თეზისები, რომლებიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტმა მოამზადა, ამოცანად ისახავენ ანალიზი გაუკეთონ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ როგორც თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებაში ახალი მოვლენის არსს, აჩვენონ „საერთო ბაზრის“ ზემოქმედება კლასობრივი და პოლიტიკური ძალების განლაგებაზე და გააშუქონ პრობლემები ხალხთა ბრძოლისა და ყოველმხრივი და თანასწორუფლებიანი ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

შესავალი

დასავლეთ ევროპის ეგრეთწოდებული „ინტეგრაციის“ (ესე იგი გაერთიანების) პრობლემებს უკანასკნელ ხანს დიდი ადგილი უჭირავს იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკაში. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ გეგმები ყველაზე სრულად აისახა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში („საერთო ბაზარი“), რომელშიც შედიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი. ამ ექვსმა ქვეყანამ, 1957 წ. 25 მარტს რომში ხელი მოაწერა რა „ხელშეკრულებას ევროპის ეკონომიური გაერთიანების დაარსების შესახებ“, ოფიციალურად გამოაცხადა თავის მიზნად შეთანხმებული ეკონომიური პოლიტიკის გატარება (განსაკუთრებით საბაჟო ტარიფებისა და საგალუტო ურთიერთობის, კაპიტალდაბანდებების, „საერთო ბაზრის“ ფარგლებში კაპიტალებისა და სამუშაო ძალის დაუბრკოლებელი მოძრაობის უზრუნველყოფის დარგში), აგრეთვე ერთმანეთს შორის პოლიტიკური კავშირის განმტკიცება. 1958 წ. 1 იანვრიდან რომის ხელშეკრულება ძალაში შევიდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ დაიწყო მისი პრაქტიკული განხორციელება. დღეისათვის საბაჟო გადასახადები ექვს ქვეყანას შორის ვაჭრობაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული, ხორციელდება რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი რიგი სხვა ღონისძიებებიც. ამრიგად, „საერთო ბაზარი“ — დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს ფინანსური ოლიგარქიის სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანება — ეკონომიური და პოლიტიკური რეალობა გახდა.

ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა, რომ ინტერნაციონალური გაერთიანება მონოპოლისტური კაპიტალისა, რომელიც ეკონომიურად ანაწილებს მსოფლიოს, შეიძლება ხდებოდეს არა მარტო საერთაშორისო მონოპოლიების ფორმით, არამედ მთელ სახელმწიფოთა შეთანხმებების ფორმითაც. „რა თქმა უნდა, — წერდა ლენინი, — შესაძლებელია **დროებითი** შეთანხმებანი კაპიტალისტებს შორის და სახელმწიფოებს შორის. ამ აზრით შესაძლებელია ევროპის შეერთებული შტატებიც, როგორც **ევროპის** კაპიტალისტების შეთანხმება.., რაზე? მხოლოდ იმაზე, როგორმე ერთად დათრგუნონ სოციალიზმი ევროპაში, ერთად დაიცვან ნაძარცვი კოლონიები...“ (თხზ., ტ. 21, გვ. 416-417). ლენინის ეს დებულება იძლევა გასაღებს დასავლეთ ევროპის თანამედროვე „ინტეგრაციის“ პროცესების არსის გაგებისათვის.

„საერთო ბაზარში“ თავს იჩენს კლასობრივი სოლიდარობა იმპერიალისტებისა, რომლებიც, ურთიერთ მტრობის მიუხედავად, „ცდილობენ გაერთიანდნენ, ცდილობენ განამტკიცონ კაპიტალიზმის პოზიციები საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტური კავშირების დახმარებით, განკურნონ ან შერბილონ მაინც კაპიტალიზმის წყლულები და მანკიერებანი (წარმოების ანარქია, კრიზისები). ფინანსური ოლიგარქია ისწრაფვის „ინტეგრაციის“ განვითარებაში მონახოს თავისებური „პასუხი“ მსოფლიო სოციალიზმის ძლიერების ზრდაზე, სოციალიზმისა, რომელიც კაცობრიობის განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა; იგი ცდილობს „საერთო ბაზრის“ დახმარებით იმპერიალიზმის ორბიტაში შეინარჩუნოს ყოფილი კოლონიური და ნახევრადკოლონიური სამყარო, შეასუსტოს კონკურენციული ბრძოლა მსოფლიო ბაზრებზე და მიაღწიოს იმპერიალისტური ბანაკის კონსოლიდაციას. მაგრამ ყველა ეს ცდა ამაოა. როგორც აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის ვერ აჭარწყლებს ღრმა წინააღმდეგობებს, რომლებიც ღრღნიან კაპიტალისტურ სამყაროს.

კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა ცვლის ძალთა თანაფარდობას მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზე, იწვევს მონოპოლისტთა საერთაშორისო კავშირებს შორის მისი გადანაწილებისათვის ბრძოლას გამწვავებას. ევროპის ეკონომიური გაერთიანება, რომელიც სახელმწიფო-მონოპოლისტურ დაჯგუფებებს შორის შეთანხმების ახალ ფორმას წარმოადგენს, ამავე დროს ახალი ფორმაა უმწვავესი კონკურენციული ბრძოლისა მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის გადანაწილებისათვის ძალთა იმ თანაფარდობის შესაბამისად, რომელიც იმპერიალიზმის ბანაკში შეიქმნა, ახალი ფორმა იმპერიალისტური სახელმწიფოების მძლავრი მონოპოლიების შეღწევისა მათი უფრო სუსტი პარტნიორების ეკონომიკაში.

„საერთო ბაზარი“ ახალ მოვლენას წარმოადგენს კაპიტალიზმის ეკონომიკის განვითარებაში. თანამედროვე ეპოქაში — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში კაპიტალიზმის სოციალური და ეკონომიური წინააღმდეგობანი მკვეთრად გამწვავდნენ. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე კიდევ უფრო გაღრმავდა კონფლიქტი საწარმოო ძალების განვითარების დონესა და წარმოებითს ურთიერთობას შორის, კიდევ უფრო მწვავე გახდა ბაზრის პრობლემა მთლიანად კაპიტალისტურ სამყაროში და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მასობრივი წარმოების მეთოდების, ავტომატიზაციის დანერგვა მოითხოვს გასაღების ბაზრების უდიდეს გაფართოებას, აძლიერებს სამეფონეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციას, ხელს უწყობს წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის განვითარებას. ეს პროცესები იმპერიალიზმის პირობებში მახინჯ, რეაქციულ ფორმებს იღებს. ერთერთი ასეთი ფორმაა იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, რომლის განვითარებაშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალური გადახლართვა, და კერძოდ შექმნა ახალი ტიპის საერთაშორისო კარტელური გაერთიანებებისა, რომლებიც დამყარებულია შეთანხმებაზე წარმოების სპეციალიზაციის შესახებ უმსხვილეს კონცერნებსა და ტრესტებს შორის. მონოპოლიების ის მისწრაფება, რომ ისარგებლონ ტექნიკური პროგრესის, საერთაშორისო სპეციალიზაციის ნაყოფით თავიანთი ზემოგების გასადიდებლად, საფუძველად უდევს კონფლიქტი „ინტეგრაციისაკენ“ მიმართულ ღონისძიებებს და წარმოშობს ტენდენციას საბაჟო გამოსაღების შემცირებისაკენ კარდახშულ ზონაში, რომელსაც სახელმწიფო-მონოპოლისტური შეთანხმებანი მოიცავენ, მესამე ქვეყნისათვის მაღალი საბაჟო ბარიერის შექმნისაკენ.

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ მონოპოლისტური კაპიტალის ცდაა „შეარეგოს“ მეურნეობის კერძოკაპიტალისტური ფორმა საწარმოო ძალებთან, რომლებიც თავიანთ ზრდაში ეროვნულ საზღვრებს გასცდნენ. იმპერიალიზმი ცდილობს სახელმწიფო-მონოპოლისტურ ჩარჩოებში შეინარჩუნოს საწარმოო ძალები, რომლებიც გადაჭრით უკარნახებენ სოციალიზმზე გადასვლას.

„საერთო ბაზრათან“ დაკავშირებულ პრობლემებს საარსებო მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის მშრომელთა ფართო მასებისათვის. იყენებს რა „საერთო ბაზარს“, ფინანსური კაპიტალი ისწრაფვის მოაწყოს ახალი შეტევა მუშათა კლასზე ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებში. მონოპოლიებს ფაქტიურად საქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ შექმნან დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის გაერთიანებული ფრონტი, ცდილობენ მშრომელთა ხარჯზე დაძლიონ თანამედროვე კაპიტალიზმის ღრმა წინააღმდეგობანი. „საერთო ბაზარს“ აგრეთვე სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყვება გლეხობისათვის, ხელოსნებისათვის, წვრილი და საშუალო ვაჭრებისა და მეწარმეებისათვის. ევროპის ეკონომიური გაერთიანება მონოპოლიების მორგებულია ხალხების ზურგსუკან, მათი ძირეული ინტერესების წინააღმდეგ.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ცდილობენ გადააქციონ „ინტეგრაცია“ რეაქციის ერთგვარ „სამღვთო კავშირად“ სოციალიზმის, მუშათა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საერთო-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად, განამტკიცონ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ეკონომიური ბაზა ევროპაში. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ გამოდის როგორც „ცივი ომის“, საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღი.

რომის ხელშეკრულების რეალიზაცია და კაპიტალისტური ეკონომიკა

1. განვლილ წლებში „საერთო ბაზრის“ ქვეყნებმა მთელი რიგი ზომები გაატარეს რომის ხელშეკრულების განსახორციელებლად. მათ შეამცირეს საბაჟო გადასახადები ურთიერთ ვაჭრობაში: სამრეწველო საქონელზე — 50 პროცენტის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საქონელზე — 30-35 პროცენტით; გადადგეს ნაბიჯები ერთიანი საბაჟო ტარიფის დასაწესებლად იმ ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე, რომლებიც „საერთო ბაზარში“ არ შედიან, და ერთობლივ ხაზს იმუშავებენ ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობაში; გააუქმეს სამრეწველო საქონლის იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები; შეასუსტეს სავალუტო შეზღუდვები; შემოიღეს ვალუტების ნაწილობრივი შექცევადობა; შეამსუბუქეს „საერთო ბაზრის“ შიგნით კაპიტალის მოძრაობის პირობები. ნავარაუდევია უახლოეს წლებში ამოსავალ დონესთან შედარებით კიდევ 30 პროცენტით შემცირდეს ურთიერთ ვაჭრობაში საბაჟო გადასახადები სამრეწველო საქონელზე და მთლიანად გაუქმდეს ეს გადასახადები 1966 წლისათვის. საბაჟო გადასახადები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ნავარაუდევია გაუქმდეს 1969 წლისათვის. გათვალისწინებულია აგრეთვე შეთანხმებული ღონისძიებანი სამუშაო ძალის მოძრაობის გაადვილებისათვის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის რეგულირებისათვის, სოციალური და საგადასახადო კანონმდებლობის უნიფიკაციისათვის.

2. „საერთო ბაზრის“ ქვეყნების სამრეწველო წარმოება 1957-დან 1961 წლამდე გაიზარდა 30 პროცენტით, ხოლო ექსპორტის მოცულობა — 50 პროცენტით. „ინტეგრირებული“ ევროპის სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები 1,5-2-ჯერ უფრო მაღალი იყო ვიდრე მთლიანად კაპიტალისტურ სამყაროში. ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველივე ამას „საერთო ბაზრის“ ზემოქმედებას მიაჟერენ.

მაგრამ წარმოებისა და საქონელბრუნვის ზრდას საფუძვლად ედო სრულიადაც არა „საერთო ბაზრის“ შექმნა. ამ გაერთიანების შედგენისას მასში შეგიდნენ ქვეყნები (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, იტალია), რომელთა მეურნეობა ისედაც შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. წარმოების გაფართოება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეყრდნობოდა ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლება იმ მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების საფუძველზე, რომელიც მსოფლიოში ხდება, მეურნეობის სტრუქტურის შეცვლა და წარმოების ახალი დარგების შექმნა. დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და „ექსკეულის“ ზოგიერთი სხვა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ტემპები მაღალი აღმოჩნდა, კერძოდ, იმიტომაც, რომ ამ ქვეყნებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეყენებინათ დიდი დაგროვებანი მუშათა შეფასებით დაბალი ხელფასის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უმუშევრობის პერიოდში. დასავლეთ გერმანიის ამ ბოლო დრომდე არ აწვა დიდი სამხედრო ხარჯების ტვირთი. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში უდიდესი სახსრები დაანაწილეს შეერთებულმა შტატებმა. ასეთია დასავლეთ ევროპაში ომისშემდგომ წლებში სამრეწველო წარმოების ზრდის საფუძველი.

„საერთო ბაზარი“ ერთგვარად იმავე მიმართულებით მოქმედებდა და ხელს უწყობდა წარმოების გაფართოებას. რომის ხელშეკრულების რეალიზაციამ, რაც „საერთო ბაზარზე“ კონკურენციული ბრძოლის გამწვავების ვითარებაში მიმდინარეობდა, ხელი შეუწყო კაპიტალდაბანდებათა ზრდას, დააჩქარა საწარმოთა მოდერნიზაცია, გამოიწვია მონოპოლიების ერთგვარი ეკონომიური და ორგანიზაციული გარდაქმნა. საბაჟო ბარიერების შემცირებამ სტიმული მისცა უფრო მასობრივ წარმოებაზე გადასვლას. „საერთო ბაზარი“ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების ეროვნული ბაზრების უბრალო არითმეტიკული ჯამი როდია თავის მახინჯ კაპიტალისტურ ფორმებშიც კი ეკონომიურ „ინტეგრაციას“ შეუძლია ბიძგი მისცეს წარმოების, შინა და საგარეო ვაჭრობის მოცულობის გადიდებას. მაგრამ ამ ფაქტორის მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ. დამახასიათებელია, რომ იაპონია, რომელსაც „საერთო ბაზართან“ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, წარმოებისა და ექსპორტის გადიდების ტემპებით მნიშვნელოვნად უსწრებს ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნებს.

1961-1962 წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები მკვეთრად შენელდა. „ინტეგრაციამ“ თავიდან ვერ აიცილა ეკონომიური ვითარების გაუარესება და მით უმეტეს ვერ გადაჭრა თანამედროვე კაპიტალიზმის უმწვავესი ეკონომიური პრობლემა— ბაზრის პრობლემა. წინააღმდეგობა წარმოებასა და გადამხდელუნარიან მოთხოვნილებას შორის ეროვნულ ფარგლებს სცილდება და არა მარტო კვლავ რჩება ცალკეულ ქვეყნებს შიგნით, არამედ კიდევაც ძლიერდება და მოქმედებს „საერთო ბაზრის“ უფრო ფართო საზღვრებში.

3. დღემდე განხორციელებულია „საერთო ბაზრის“ ღონისძიებათა პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია შედარებით მცირე სიძნელეებთან. მაგრამ „ინტეგრაციის“ პროგრამის ამ, ყველაზე ადვილი ნაწილის განხორციელებაც კი მწვავე წინააღმდეგობებს წააწყდა. ევროპის ეკონომიურმა გაერთიანებამ არათუ არ გამოიწვია ჰარმონიულად განვითარებული ეკონომიური კომპლექსის შექმნა, არამედ, პირიქით, ბაზრებისათვის კონკურენციული ბრძოლის გამწვავების წყაროო გახდა. ძველ წინააღმდეგობებს ახლები დაემატა. დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის ეკონომიკის ისტორიულად ჩამოყალიბებულმა სტრუქტურამ გადააქცია ისინი ბუნებრივ კონკურენტებად ერთი ტიპის სამრეწველო ნაკეთობათა — საერთო მანქანათმშენებლობის პროდუქციის; ქიმიის პროდუქციის, ელექტროტექნიკური მოწყობილობის, ავტომობილების, საფეიქრო საქონლის გასაღებაში. ამ ფაქტით გამოწვეული შეჯახებანი ეხლართებიან იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც „საერთო ბაზრის“ ფარგლებში სპეციალიზაციის განვითარების მსვლელობაში წარმოიშობა.

„ექვსეულის“ ქვეყნები შენიღბული ფორმით ინარჩუნებენ სხვადასხვა დამცავ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მათი ეროვნული ბაზრების დაცვა პარტნიორების შეღწევისაგან. ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში განუწყვეტელი დავა წარმოებს საბაჟო ტარიფების შემცირების ტემპებისა და საგარეო ტარიფების შეთანასწორების ვადების საკითხზე; ხდება კონფლიქტები, რომლებიც გამოწვეულია ერთმანეთის წინააღმდეგ აშკარა და ფარული დისკრიმინაციული მოქმედებით. კერძოდ „სავაჭრო ომის“ ისეთი ხერხებით, როგორიც არის საეკსპორტო დარგების სახელმწიფოებრივი სუბსიდირება, რაც ხელშეკრულებით აკრძალულია, კონკურენტებისათვის არახელსაყრელი სატრანსპორტო პირობების შექმნა და ა. შ. უმწვავეს წინააღმდეგობათა ობიექტს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთიანი ფასების დონის, ამ პროდუქციის იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების საკითხები და ა. შ.

ახლო მომავალში, როცა „საერთო ბაზრის“ ქვეყნები შეუდგებიან რომის ხელშეკრულებით დასახული შემდგომი, უფრო რთული ღონისძიებების რეალიზაციას, წარმოიშობა კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობანი და დაბრკოლებანი. გარდა ამისა, „საერთო ბაზრის“ სიმტკიცეს ჯერ კიდევ არ შეხვედრია ეკონომიური კრიზისის განსაცდელის გადატანა.

4. კაპიტალისტურ „ინტეგრაციას“ ობიექტური ზღვრები აქვს. საერთაშორისო ეკონომიური კომპლექსს მასშტაბებით სამეფონეო ცხოვრების რეგულირების ამოცანას ეწინააღმდეგებიან მისი გადაჭრის კაპიტალისტური საშუალებანი. ფინანსური ოლიგარქია ცდილობს ისე შეარბილოს მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელი ანტაგონიზმები, რომ არ შეცვალოს საკუთრების ურთიერთობა, დარჩეს სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ნიადაგზე. მაგრამ ამ მიზნის შესრულება აშკარად შეუძლებელია. თუ სამეურნეო ცხოვრების სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება სერიოზულ და გადაუჭრელ წინააღმდეგობებს იწვევს ცალკეულ ქვეყნების მასშტაბით, ასეთი რეგულირების ცდები რამდენიმე სახელმწიფოს მასშტაბით ამ წინააღმდეგობებს კიდევ უფრო მწვავე ხასიათს აძლევს. „საერთო ბაზარს“, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს კაპიტალისტური წესრიგი და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, წარმოების ანარქიის გამო, იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედების გამო უნარი არ შესწევს უზრუნველყოს ეკონომიკის ჰარმონიული ზრდა, უძლურია აღმოფხვრას კლასობრივი ანტაგონიზმები.

„საერთო ბაზრის“ პირველი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები

5. „საერთო ბაზარი“ ფინანსური ოლიგარქიის ნაშიერია მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ახალ ეტაპზე. „ინტეგრაციას“ ოდნავაც არ შეუცვლია თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბუნება, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგები ამტკიცებენ. „საერთო ბაზარი“ — ეს არის „ევროპა ტრესტებისა“, იმპერია გიგანტი მონოპოლიებისა, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ მილიონობით და მილიონობით მშრომელთ. მსოფლიოს 200 უმსხვილესი მონოპოლიიდან, რომელთა ხელში კონცენტრირებულია მსოფლიო კაპიტალისტური წარმოების თითქმის მესამედი, 43 მონოპოლია ევროპის ეკონომიური გაერთიანების წამყვანი ტრესტებია.

წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ უკანასკნელ წლებში „საერთო ბაზრის“ ექვს ქვეყანაში უმაგალითო მასშტაბები მიიღო. თუ 1954 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ სააქციო კომპანიებს წილად, რომელთა აქტივები ას-ას მილიონ მარკაზე მეტს შეადგენს, ამ ქვეყნის მთელი სააქციო კაპიტალის 34 პროცენტი მოდიოდა, 1961 წელს მოდიოდა უკვე 52 პროცენტი. საბაჟო ბარიერების შემცირებამ და „საერთო ბაზარზე“ კონკურენციული ბრძოლის ახალმა პირობებმა გამოიწვია მსხვილი კომპანიების შეერთების, აგრეთვე გიგანტური ტრესტების მიერ წვრილ და საშუალო საწარმოთა შთანთქმის ახალი ტალღა. მაგალითად, საფრანგეთში 1946-1956 წლებში რეგისტრირებულია 310 შეერთება, 1959 წელს — 931, 1960 წელს — 1.000. მოხდა ერების ცხოვრებაზე მონოპოლიების ბატონობის უდიდესი გაძლიერება.

„საერთო ბაზრის“ ქვეყნებში შრომის განსაზღვადობასა და წარმოების განვითარებაში მიღწეულ პროგრესს, სადარგთაშორისო სპეციალიზაციის და მთლიანად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელსაყრელობას უმსხვილესი მონოპოლიები ითვისებენ. მონოპოლიებმა არ დაუშვეს ფასების საერთო შემცირება, რომელიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა საბაჟო გადასახადების შემცირებას. პირიქით, მოხდა სიძვირის ახალი ზრდა. გიგანტურად გადიდდა „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მონოპოლიათა მოგება. ამ ქვეყნების 35 უმსხვილესი ტრესტის წმინდა მოგება 1957-დან 1961 წლამდე 2,7-ჯერ გადიდდა.

6. „საერთო ბაზარში“ გაერთიანებული ქვეყნების რეაქციული იმპერიალისტური ბურჟუაზიის კავშირმა გამოიწვია მუშათა კლასის ექსპლოატაციის შემდგომი გაძლიერება, შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონეზე, მუშათა და დემოკრატიულ მოძრაობაზე.

ევროპის ეკონომიური გაერთიანების ორგანოები —ეგრეთწოდებული ასამბლეა („ევროპის პარლამენტი“), რომელიც მოწოდებულია კონტროლს უწევდეს გაერთიანების მუშაობას, საბჭო, რომელიც უმაღლესი ორგანოა „საერთო ბაზრის“ პოლიტიკის გამომუშავების დარგში, კომისია, რომელიც გაერთიანების მთავარ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს, სასამართლო — შედგებიან იმ პირებისაგან, რომელთა დანშეზნა სავსებით მოწონებულია მონოპოლიების მიერ და რომლებიც მთლიანად მათი ინტერესებისათვის მოქმედებენ.

ცდილობენ რა თავიანთთვის უზრუნველყონ ყველაზე ხელსაყრელი პოზიციები „საერთო ბაზრის“ სისტემაში, მონოპოლიები ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ხელფასისა და შრომის ანაზღაურების დონეზე. მონოპოლიებმა ეკონომიურ ბრძოლაში ეს საკუთარი ეკონომიური პოზიციები, ინგლისმა 1959 წელს შექმნა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია. ამ სავაჭრო ბლოკში შევიდა შვიდი სახელმწიფო: ინგლისი, ავსტრია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, შვეიცარია, შვეიცარია. ორი ერთმანეთის მეტოქე დაჯგუფების ბრძოლაში ინგლისმა არსებითად დამარცხება განიცადა და, შეიძლება ითქვას, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით დასავლეთ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან შეერთების შესახებ. რა თქმა უნდა, ინგლისი ეკონომიურად საკმაოდ ძლიერია, რომ განაგრძოს ბრძოლა „საერთო ბაზრის“ გარეთ დარჩენილმა, მაგრამ ამ საკითხში მისი მმართველი წრეების მოქმედების ხაზს განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური მოტივები, ნატოს შესუსტების შიში.

წარმოიშვა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ახალი კვანძი. „საერთო ბაზრის“ ქვეყნები ინგლისისაგან მოითხოვენ უშენდნენ მიიღოს რომის ხელშეკრულების ყველა პირობა, ინგლისი კი ცდილობს დათმობები მიიღოს მათგან. ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შესვლისას ინგლისი „საერთო ბაზრის“ მოთხოვნებზე რომ დათანხმებულიყო, საფრთხეში აღმოჩნდებოდა მისი სავაჭრო ურთერთობა ბრიტანეთის თანასაზოგადოების ქვეყნებთან, პრეფერენციული ტარიფების სისტემა და სტერლინგის ზონა.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საკითხი მწვავე პოლიტიკური ბრძოლის საგანი გახდა. პროგრესული ორგანიზაციები, მეტი წილი პროფკავშირები, ბევრი ლეიბორისტი პოლიტიკოსი, ფერმერთა მთელი რიგი კავშირები აქტიურად გამოდიან ევროპის „ინტეგრაციაში“ ინგლისის მონაწილეობის წინააღმდეგ. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „საერთო ბაზარში“ წევრობა დამღუპველ ზეგავლენას მოახდენდა ინგლისის მუშების ცხოვრების დონეზე, დიდ ზიანს მიაყენებდა ინგლისის სოფლის მეურნეობას, გაანადგურებდა მშრომელთა ბრძოლას სრული დასაქმებულობის უზრუნველყოფისათვის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაფარფათებისათვის. „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლაზე უარის თქმას მხარს უჭერენ აგრეთვე კონსერვატიული პარტიის მთელი რიგი გავლენიანი მოღვაწეები და საქმიანი წრეები, რომლებსაც ეშინიათ ბრიტანეთის პოზიციების შესუსტებისა გაერთიანების ქვეყნებში. ავსტრალიის, კანადის, ახალი ზელანდიისა და ბრიტანეთის თანასაზოგადოების სხვა ქვეყნების საქმიანი წრეებიც პროტესტს აცხადებენ „საერთო ბაზარში“ ინგლისის მონაწილეობის წინააღმდეგ, რადგან ეშინიათ დაკარგონ გასაღების ბაზარი ინგლისში.

თავის მხრივ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მონაწილენი, რომლებიც ინგლისმა მიატოვა, განიცდიან მზარდ ზეგავლენას „საერთო ბაზრის“ დიდი სახელმწიფოების მხრივ. დასავლეთ ევროპის პატარა ქვეყნებისათვის „საერთო ბაზარში“ შესვლა იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სერიოზულად შელახულიყო მათი ეროვნული, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. პატარა ქვეყნებისათვის საფრთხე მით უფრო იზრდება, რომ „საერთო ბაზრის“ ორგანოების მიერ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას ერთხმივობის პრინციპი იცვლება უმრავლესობის პრინციპით.

11. ევროპის ეკონომიური გაერთიანების პოლიტიკური მიზანდასახულობა გამოიცხადა, „საერთო ბაზრის“ მონაწილეთათვის იმის შესაძლებლობას, რომ შეინარჩუნონ ნეიტრალიტეტის სტატუსი. ამიტომ იმის ცდები, რომ შეეცია, შვეიცარია და ავსტრია „საერთო ბაზარში“ ჩაითრიონ, აშკარად ნავარაუდევია იმისათვის, რომ ფაქტიურად ჩაბან ისინი აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების სისტემაში.

ამ ქვეყნების ნეიტრალიტეტის ხელყოფა აწყდება მათი ხალხების წინააღმდეგობას, რომლებსაც ნეიტრალიტეტი თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად მიაჩნიათ. ამიტომ ამ ქვეყნების მმართველი წრეების ნაწილი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმპერიალისტები უბიძგებენ, შემოვლითს გზებს ეძებს იმისათვის, რომ ევროპის გაერთიანებას შეუერთდეს ეგრეთწოდებული ასოციაციის ფორმით, ცდილობს შენიღბოს „საერთო ბაზრის“ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. იგი ისახავს ილუზიებს იმის შესახებ, რომ შეიძლება გამოინახოს „საერთო ბაზართან“ ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ გადაჭრან თავიანთი ეკონომიური პრობლემები და ამავე დროს შეუნარჩუნებდა მათ ნეიტრალიტეტს. ამ ილუზიებს სერიოზული ლახვარი ჩასცა ამერიკის დიპლომატიის ხელმძღვანელებისა და „მცირე ევროპის“ ზოგიერთი ლიდერის გულახდილმა განცხადებებმა იმის შესახებ, რომ ნეიტრალური ქვეყნები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნან „საერთო ბაზარში“, თუ მის „პოლიტიკურ ფილოსოფიას“ მიიღებენ.

12. ღრმავდება წინააღმდეგობანი „საერთო ბაზარსა“ და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამერიკის მმართველმა წრეებმა წინასწარ ვერ გამოიცნეს ყველა ის შედეგი, რაც მათი აქტიური მონაწილეობით შექმნილ „საერთო ბაზარს“ მოჰყვებოდა. დასავლეთ ევროპის მხრივ კონკურენციის ზრდა ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსის შემდგომ გაუარესებას, იწვევს იმპერიალისტური ქვეყნების „ვალუტების ომის“ გაძლიერებას. უკვე ის გარემოება, რომ „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში ნაწილობრივ შემოღებულ იქნა ერთიანი საგარეო საბაჟო ტარიფი და შემცირდა საშინაო ბაჟები, აძნელებს ამერიკის ექსპორტს ამ ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები ცდილობენ კაპიტალის ექსპორტის გზით თავიდან აიცილონ „საერთო ბაზრის“ ამ ღონისძიებების მათთვის უარყოფითი შედეგები. ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი ინვესტიციები დასავლეთ ევროპაში 1957 წლის 4,2 მილიარდი დოლარიდან გაიზარდა 6,6 მილიარდ დოლარამდე 1960 წელს. ამერიკის მონოპოლიებმა თავიანთი ფილიალები შექმნეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მრეწველობის ნაწილში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ადვილად ეგზავნებიან ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, ტექნიკური ინფორმაცია, ფულადი კაპიტალი. ეს ფილიალები ეფექტურად ეხმარებიან „საერთო ბაზარზე“ ბრძოლაში, ეხმარებიან ამერიკის ეკონომიკურ ექსპანსიას ევროპ

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ შესახებ დასავლეთ ევროპაში („საერთო ბაზარი“)

(დასასრული)

„გლობალური“ პოლიტიკის გამომუშავებაში. საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ახლა აშკარად ისწრაფვიან იმისაკენ, რომ საკუთარი „ატომური სტრატეგიული ძალა“ ჰქონდეთ. ამ პირობებში „ინტეგრაციას“ თან სდევს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის გამწვავება.

დასავლეთ ევროპის ეკონომიური გათიშვის დაძლევის იმპერიალისტური გეგმა

13. კაპიტალისტური ქვეყნების ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სავაჭრო ბლოკის შექმნით დასავლეთ ევროპის ეკონომიური გათიშვა გაძლიერდა. მოხდა იმპერიალისტებს შორის ბრძოლის არა შესუსტება, არამედ გაღრმავება, მისი გადატანა უფრო ფართო ასპარეზზე. იმპერიალისტები შიშობენ, რომ ამან შეიძლება გააძლიეროს პოლიტიკური უთანხმოება აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შიგნით. ახალი ეტაპი „ინტეგრაციის“ განვითარებაში დაკავშირებულია იმპერიალიზმის მისწრაფებასთან დაძლიოს დასავლეთ ევროპის ეკონომიური გათიშვა.

ომის შემდგომი პერიოდის მთელ მანძილზე მონოპოლისტური „ინტეგრაცია“ ამერიკის იმპერიალიზმის „დიდი სტრატეგიის“ შემადგენელი ნაწილია. ამჟამად, ისწრაფვიან რა განამტკიცონ დასავლეთის საბჭდრო-პოლიტიკური კავშირი, შეერთებული შტატები უცერემონიოდ უბიძგებენ ინგლისსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს იმისათვის, რომ „საერთო ბაზარში“ შევიდნენ. ასეთი გზით ისინი ცდილობენ შეასუსტონ ცენტრიდანული ტენდენციები ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, განამტკიცონ მის მონაწილეთა „ურთიერთ თავდებობა“ და ამავე დროს თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ წინააღმდეგობანი მათ შორის.

ამერიკის იმპერიალიზმს ჯერ კიდევ არ აუღია ხელი თავის პრეტენზიებზე — იბატონოს დასავლეთ ევროპასა და მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. მაგრამ იგი იძულებულია ამ მიზნისაკენ მიდიოდეს არა პირდაპირი, არამედ შემოვლითი გზით, ცდილობს დაიკავოს არბიტრის მდგომარეობა როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, ისე მათ და კაპიტალისტური სამყაროს დანარჩენ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში. დასასრულ, შეერთებული შტატები ვარაუდობენ, რომ „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლით გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცემა ბრიტანეთის საიმპერიო პრეფერენციების სისტემას და რომ იმ ბაზრებზე, სადაც ოდესღაც ინგლისის მონოპოლიები ბატონობდნენ, სჯიოზულად გაფართოვდება ამერიკის მონოპოლიების პოზიციები.

14. ამერიკის იმპერიალიზმი — საერთაშორისო რეაქციის დასაყრდენი — ნატოს გაფმტკიცებასა და გათიშვის თავიდან აცილების მიზნით მონოპოლისტური ბურჟუაზიის კლასობრივ სოლიდარობას მიმართავს. ქვაკუთხედად სახავენ რა რეაქციული ძალების სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები იმის მომხრედ გამოდიან, რომ შეკოწიწებულ იქნას უფრო ფართო ეკონომიური ბლოკი, გაფართოვდეს დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ „ატლანტიკურ“ მასშტაბებამდე „საერთო ბაზართან“ შეერთებული შტატების „პარტნიორობის“ შეთანხმების ბაზაზე. ამასთან ისინი გამოდიან იმ განზრახვიდან, რომ შეინარჩუნონ მთელი რეაქციული ძალებისადმი ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეერთებული შტატების მმართველი წრეები ხაზგასმით აღნიშნავენ ამერიკის შეერთებულის შტატებისა და დასავლეთ ევროპის ურთიერთდამოკიდებულ“ მდგომარეობას, „საერთო ბაზართან“ მათ მიერ წამოყენებულ კავშირის თითქოსდა „თანასწორუფლებიან“ ხასიათს. ეს დაკავშირებულია ამერიკის წინა გეგმების გაკოტრებასთან. დოქტრინა ამერიკის „ხელმძღვანელობისა მსოფლიოსადმი“ სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ვაშინგტონს აღარ შეუძლია ისეთი ფორმით, როგორც წინათ, ახვევდეს თავს თავის ნებას დასავლეთ ევროპას. ეკონომიური ძალების თანაფარდობა იმპერიალიზმის ბანაკში შეიცვალა არა ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ. „მარშალის გეგმისა“ და „ტრუმენის დოქტრინის“ დროინდელი დაუფარაჯი დოქტატის ენა ახლანდელ პირობებში უკვე გამოუსადეგარია. თანაც შეერთებული შტატები ისწრაფვიან დასავლეთ ევროპას დააკისრონ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამხედრო ხარჯების ტვირთის სულ უფრო მეტი ნაწილი.

დასავლეთ ევროპასთან „თანასწორუფლებიანი პარტნიორობის“ შესახებ დეკლარაციების საფარით ამერიკის მმართველი წრეები ცდილობენ შეერთებული შტატების ინტერესებს დაუქვემდებარონ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ განვითარება და ამ საფუძველზე განამტკიცონ თავიანთი პოზიციები კაპიტალისტურ სამყაროში.

15. შეერთებულ შტატებს დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ მიაჩნიათ ერთსა და იმავე დროს პოლიტიკურ აუცილებლობადაც და თავიანთთვის საფრთხედაც.

ეკონომიური საფრთხის მოხსნას ისინი ცდილობენ „საერთო ბაზართან“ დაახლოებას, უფრო ფართო, „ატლანტიკურ“ სახელმწიფო-მონოპოლისტურ შეთანხმებებში მისი გათქვეფის გზით. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უფლება ენიჭება შეამციროს ან სულაც გაუქმოს შესატანი ბაჟები საქონელზე, რომელსაც დასავლეთი ევროპა შეერთებულ შტატებს მიჰყიდის „საერთო ბაზრის“ ქვეყნების შესაბამის დათმობათა სანაცვლოდ. ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ „საერთო ბაზრის“ რაც შეიძლება მეტი რესურსები მოიმარონ შეიარაღების უზრუნველყოფას, ცდილობენ შეასუსტონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების კონკურენცია და მიაღწიონ „თავისუფალი სამყაროს თავდაცვაში“ ამ ქვეყნების წვლილის სულ უფრო მეტად გადიდებას, ესე იგი გამალებული შეიარაღების გაძლიერებას. ასეთი გზით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ვარაუდობს დაიჩლუნგოს „საერთო ბაზრის“ ეკონომიურ ღონისძიებათა ანტიამერიკული მახვილი, გაუხსნას თავის მონოპოლიებს თავისუფალი გზა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და მათი ყოფილი კოლონიების ბაზრებზე შესაღწევად. მაგრამ ახალი პროექტები წინაღმდეგობას აწყდება როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შიგნით, ისე მათს ფარგლებს გარეთაც. ამერიკის მთელი რიგი მონოპოლიების წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დასავლეთ ევროპის მთელ რიგ საქონელს შესაძლებლობა ეძლევა დაუბრკოლებლად შეაღწიოს ამერიკის შეერთებული შტატების შინა ბაზარზე. თავის მხრივ, „საერთო ბაზრის“ ქვეყნები არ აპირებენ შეასუსტონ შეტევა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ პოზიციებზე დასავლეთ ევროპაში და მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. ყოველივე ეს გარდუვალად იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და „საერთო ბაზრის“ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა შემდგომ ზრდას.

16. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ ნავარაუდევი გაფართოება რომ განხორციელდეს, იგი განამტკიცებს სახელმწიფოთა იმპერიალისტური სისტემის განაწილებას ეკონომიურად სამ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნაწილად.

ჯერ ერთი, შეერთებული შტატები, ისინი, რა თქმა უნდა, არ შეჭლენ „საერთო ბაზარში“, მაგრამ იმის სურვილით, რომ თავიანთი ლიდერობა შეინარჩუნონ, მზად არიან ითანამშრომლონ მასთან განსაკუთრებულ პირობებში. დაახლოებით ასეთივე პოზიცია უჭირავთ ქანადის მმართველ წრეებსაც.

მეორე „ინტეგრირებული“ ევროპა ტრესტებისა“ ევროპის წამყვანი იმპერიალისტური ქვეყნების — ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის შეთაურობით.

მესამე, იაპონია, რომელსაც სურს თავის გარშემო გააერთიანოს აზიის ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა, რათა უფრო წარმატებით ებრძოლოს ბაზრებზე თავის ეკონომიურ ძალებს თანაფარდობა იმპერიალიზმის ბანაკში შეიცვალა არა ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ. „მარშალის გეგმისა“ და „ტრუმენის დოქტრინის“ დროინდელი დაუფარაჯი დოქტატის ენა ახლანდელ პირობებში უკვე გამოუსადეგარია. თანაც შეერთებული შტატები ისწრაფვიან დასავლეთ ევროპას დააკისრონ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამხედრო ხარჯების სულ უფრო მეტი ნაწილი.

დასავლეთ ევროპასთან „თანასწორუფლებიანი პარტნიორობის“ შესახებ დეკლარაციების საფარით ამერიკის მმართველი წრეები ცდილობენ შეერთებული შტატების ინტერესებს დაუქვემდებარონ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ განვითარება და ამ საფუძველზე განამტკიცონ თავიანთი პოზიციები კაპიტალისტურ სამყაროში.

15. შეერთებულ შტატებს დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ მიაჩნიათ ერთსა და იმავე დროს პოლიტიკურ აუცილებლობადაც და თავიანთთვის საფრთხედაც.

ეკონომიური საფრთხის მოხსნას ისინი ცდილობენ „საერთო ბაზართან“ დაახლოებას, უფრო ფართო, „ატლანტიკურ“ სახელმწიფო-მონოპოლისტურ შეთანხმებებში მისი გათქვეფის გზით. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უფლება ენიჭება შეამციროს ან სულაც გააუქმოს შესატანი ბაჟები საქონელზე, რომელსაც დასავლეთი ევროპა შეერთებულ შტატებს მიჰყიდის „საერთო ბაზრის“ ქვეყნების შესაბამის დათმობათა სანაცვლოდ. ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ „საერთო ბაზრის“ რაც შეიძლება მეტი რესურსები მოიმარონ შეიარაღების უზრუნველყოფას, ცდილობენ შეასუსტონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების კონკურენცია და მიაღწიონ „თავისუფალი სამყაროს თავდაცვაში“ ამ ქვეყნების წვლილის სულ უფრო მეტად გადიდებას, ესე იგი გამალებული შეიარაღების გაძლიერებას. ასეთი გზით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ვარაუდობს დაიჩლუნგოს „საერთო ბაზრის“ ეკონომიურ ღონისძიებათა ანტიამერიკული მახვილი, გაუხსნას თავის მონოპოლიებს თავისუფალი გზა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და მათი ყოფილი კოლონიების ბაზრებზე შესაღწევად. მაგრამ ახალი პროექტები წინაღმდეგობას აწყდება როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შიგნით, ისე მათს ფარგლებს გარეთაც. ამერიკის მთელი რიგი მონოპოლიების წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დასავლეთ ევროპის მთელ რიგ საქონელს შესაძლებლობა ეძლევა დაუბრკოლებლად შეაღწიოს ამერიკის შეერთებული შტატების შინა ბაზარზე. თავის მხრივ, „საერთო ბაზრის“ ქვეყნები არ აპირებენ შეასუსტონ შეტევა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ პოზიციებზე დასავლეთ ევროპაში და მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. ყოველივე ეს გარდუვალად იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და „საერთო ბაზრის“ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა შემდგომ ზრდას.

16. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ ნავარაუდევი გაფართოება რომ განხორციელდეს, იგი განამტკიცებს სახელმწიფოთა იმპერიალისტური სისტემის განაწილებას ეკონომიურად სამ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნაწილად.

ჯერ ერთი, შეერთებული შტატები, ისინი, რა თქმა უნდა, არ შეჭლენ „საერთო ბაზარში“, მაგრამ იმის სურვილით, რომ თავიანთი ლიდერობა შეინარჩუნონ, მზად არიან ითანამშრომლონ მასთან განსაკუთრებულ პირობებში. დაახლოებით ასეთივე პოზიცია უჭირავთ კანადის მმართველ წრეებსაც.

მეორე „ინტეგრირებული ევროპა ტრესტებისა“ ევროპის წამყვანი იმპერიალისტური ქვეყნების — ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის შეთაურობით.

მესამე, იაპონია, რომელსაც სურს თავის გარშემო გააერთიანოს აზიის ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა, რათა უფრო წარმატებით ებრძოლოს ბაზრებზე თავის ეკონომიურ ძალებს თანაფარდობა იმპერიალიზმის ბანაკში შეიცვალა

ეროვნული

...

...

...

ჩვენი სტუმრები

მშვენიერი ხარ, საქართველოვ!

სამ დღეს იყო საქართველოში სტუმრად ცნობილი ბრაზილიელი პოეტი ქალი სელენი დი მედეიროსი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოწვევით.

სელენი დი მედეიროსმა დაათვალიერა თბილისი, საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, გიორგი საკაძის სოფელი — ნოსტე, გაეცნო ქართული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეებს. მწერალთა კავშირის კლუბში შეხვდა ქართველ პოეტებსა და მწერლებს, წაიკითხა თავისი ლექსები პორტუგალიურ ენაზე გიტარის თანხლებით.

გამგზავრების წინ სელენი დი მედეიროსმა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის დაწერა ეს პატარა ბარათი.

გამგზავრებიდანვე მიყვარხარ! საქართველოვ! კაცობრიობის პირველმა პოეტებმა მომითხრეს შენს ლეგენდებზე, მე შენ გაგიცანი ჰომეროსის „ოდისეით“, კოლხეთზე შექმნილი ლეგენდებითა და თქმულებით ოქროს საწმისზე.

მე დღეს შენს დედაქალაქში ვარ, საქართველოვ, ლამაზ თბილისში.

ათას ხუთასი წლის ჭაღარა და მარად ახალგაზრდა თბილისმა მეგობრული ხელით გამომიწოდა ფერადი ყვავილები. მე ვეცნობი სინათლით, სითბოთი და სიმღერით სავსე შენს ცხოვრებას, ტკბილო საქართველოვ! შენ ბევრი რამით ჯაგონებ ჩემს მშობლიურ ბრაზილიას, რომანტიკას მხარევ. მეგობარმა ქართველმა პოეტებმა მაჩვენეს შენი მტკვარი და ნარიყალა. როცა ვუყურებდი წარსულის ძეგლებს, წამით მომეჩვენა, თითქოს ანტიკურ და შუა საუკუნეებს გავესაუბრე. აქ ყოველ ნაბიჯზე ქვები ლაღადებენ გაუშიფრავ ლეგენდებზე.

მე მივაბიჯებდი მთაწმინდის კალთებზე. ჩემი თანამგზავრი მეესაუბრებოდა ბატონ ალიოშა ტაბიძეზე, ილია ჭავჭავაძეზე და ალექსანდრე გრიბოედოვზე, და თვალწინ ცოცხლდებოდა მათი შორეული ლანდები.

საქართველოვ, ახალი თბილისის ქუჩებში მე შევხვდი შენს გენიალურ შვილს რუსთაველს, რომლის დიდებამ ბრაზილიამდე ჩამოაღწია ჰომეროსის პოემებთან ერთად.

შენს ქუჩებში შევხვდი გენიალურ ლენინს მომავლისაკენ გაწვდილი ხელით.

მშვენიერი ხარ, საქართველოვ. შენი ბალღებითა და ვენახებით, შენი პურითა და ღვინით, შენი მცხეთითა და სვეტიცხოველით, შენი დიდოსტატის მარჯვენის მკრნე ხელით.

მე მიყვარს შენი სტუმართმოყვარე ადამიანები. ბევრ ქართულ ოჯახში ვიყავი სტუმრად, სტუმრად კი არა, შინ. ძათთან თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ჩემიანებთან. ვიყავი ნოსტეში, სადაც თითქოს თვით გიორგი საკაძე წამოდგა, რომ ქართველი მასპინძლის ვალი მოეხადა.

საქართველოში შეეხვდი ჩემს მეგობარს ნიკოლას ვალიენს: მე ენახე ქართულ ენაზე მისი ლექსების წიგნი. დიახ, ამ წიგნის ნახვა ცოცხალ მეგობართან შეხვედრას ჰგავდა.

მეგობრობისათვის არ არსებობს გეოგრაფიული მანძილი.

შენ ჩემთან იყავ, საქართველოვ, ჩემს ბავშვობაში. დღეიდან კი ჩემს ცხოვრებაში სამუდამოდ დამკვიდრდი.

Poleni de Melins

სელენი დი მედეიროსი.
თბილისი. აგვისტო 1962 წ.

* * *

სურათზე: ბრაზილიელი პოეტი სელენი დი მედეიროსი თბილისში.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ცხელი წყაროს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს სარაიონთაშორისო გაზეთმა „ლენინელმა“ ამ დღეებში დაბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს არგვეთა-კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის მთავარი გეოლოგის თ. ფხაკაძის საინტერესო წერილი „მოჩქეფს ცხელი არტეზიული წყალი.“ ავტორი წერს:

„ამ დღეებში ქვედა სიმონეთში (თერჯოლის რაიონი) გეოლოგიური ბურღვის დროს იფეთქა მაღალთერმულმა წყალმა, რომელიც თავისი თვისებრივი მონაცემების გარდა აღსანიშნავია დიდი დებიტით — 6 ლიტრი წამში“.

როგორც ავტორი გვაუწყებს, არგვეთის აუზში ამჟამად შესწავლის ობიექტია ღრმა ცირკულაციის თერმული და, შესაძლოა სამკურნალო თვისებების მქონე, წყლები. ახალი პროგრამით გაბურღილი ხუთი ჭაბურღილიდან თვითდინებით წყალი მიღებულია სამიდან, რომლებიც განლაგებულია მდინარე ყვირილის მარჯვენა მხარის სოფლებში არგვეთაში, ეწერსა და ქვედა სიმონეთში.

სპეციალისტების აზრით სიმონეთის ჭაბურღილში იგივე მენჯი-მაცეტის სულფიდური ტიპის წყალია, როგორც არგვეთისა და ეწერის ჭაბურღილებში, მხოლოდ იმ უპირატესობით, რომ სიმონეთის წყალი მაღალთერმიული და უხვია. ფიქრობენ, რომ მასში შერეულია ცაიშის ტიპის წყალი.

ამჟამად მიმდინარეობს ცხელი არტეზიული წყაროების ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროქიმიური კვლევა-შესწავლა, მისი სამკურნალო თვისებების დაზუსტება.

ასოგით მეცხოველე, მწყემსი და თავრობანი ამოდის ზაფხულში ასპინძის ალპურ იალაღებზე. ზამთარში ცივი და მიუკარებელი, ჩუმი და ნისლიანი მთები მაისიდან ერიამულით, ხმაურითა და სიცოცხლით ივსება.

აქ, ზღვის დონიდან 2.500-2.900 მეტრ სიმაღლეზე ნიალის, ქუმბათისა და ლებიის იალაღებზე შორი მხრიდან მოდიან ცხელი მწყემსებიც. მათ კეთილი მეზობლობა, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ ამავე იალაღებზე მყოფ ახალციხის რაიონის მეცხოველეებთან. მათთან იზიარებენ მწყემსის სიხარულსა თუ გულისტკივილს.

ამას წინათ საზაფხულო იალაღებზე მყოფ მეცხოველეებთან ამოვიდნენ პარტიის ახალციხის რაიკომის ლექტორთა ჯგუფი და სარაიონო კულტურის სახლის მხატვრული ბრიგადა, რომელსაც ლოტბარი შ. ალთუნაშვილი ხელმძღვანელობს.

პარტიის ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. მექვაბიშვილმა, კულტურის განყოფილების გამგემ ს. სანიკიძემ და კულტურის სახლის დირექტორმა პ. ჭალიაშვილმა მწყემსებთან წაიკითხეს ლექციები „პარტიის XXII ყრილობის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა“, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და მეცხოველთა ამოცხები“ და სხვ.

ახალციხის რაიონის სოფლების ნაკალაქევის, ორგორის, საყუდაბელის, იდუმალის და დამალის კოლმეურნეობების მეცხოველეებთან ერთად საინტერესო ლექციების მოსმენით, კონცერტითა და სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმების ჩვენებით კმაყოფილნი დარჩნენ აგრეთვე წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკისა და ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობების მეცხვარეები.

ჯ. ხვადაკაძე.

ამბები ეროვნული ბიბლიოთეკიდან

საგაფხულო იალაღებზე

ᲙᲝᲜᲯᲐᲛᲘ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲘᲐᲚᲘᲜᲢᲘ

კუბის რესპუბლიკაში დიდი შესაძლებლობებია ძვირფასი მცენარის ევკალიპტის შემდგომი გაშენებისათვის, რომელიც აშრობს ჭარბტენიან ნიადაგს, წმენდს ჰაერს, ხოლო მისი ფოთლებიდან მიღებული ეთერზეთებს მედიცინაში, პარფიუმერიაში, ფარმაცევტულ მრეწველობასა და ტექნიკაში იყენებენ.

ევკალიპტის კულტურის გაშენებაში კუბელ მეგობრებს დიდი დახმარება გაუწიეს ქართველმა სპეციალისტებმა — გალის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის მთავარმა აგრონომმა ისიდორე ლომინაიშვილმა და აბაშის ეთერზეთების ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა გურამ კუციამ, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში იყვნენ კუბაში.

ვ. ფულეიხერი.

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲠᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲒᲘ ᲓᲐᲜᲘᲜᲩᲣᲚᲘ

ᲐᲑᲐᲨᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

● **სოხუმი.** (საკ. კორ.). სოხუმს სტუმრად ეწვია აფხაზეთში დასასვენებლად მყოფი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ მუშაკთა ჯგუფი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე სოხუმის მთაზე ასვლამ, საიდანაც მათ იხილეს სოხუმის პანორამა. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე ბოტანიკური ბაღი.

● **ცხინვალი.** (საკ. კორ.). დღითიდღე ფართოვდება კომუნალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საოლქო ცენტრში. ახლახან დამთავრდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ორი 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ჯაფარიძისა და მოსკოვის ქუჩებზე, 12 ბინიანი სახლი ისაკის ქუჩაზე. კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს ელექტროვიბრომანქანებისა და მომინანქრებული სადენის ქარხნების მუშებმა, მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკებმა.

● **აბაშის** სარაიონო კულტურის სახლში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მინიატიურების ანსამბლმა გამართა კონცერტი — მიმოხილვა „შინ და გარეთ“. მომოხილვის ავტორია ი. ხუნწარია, კომპოზიტორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ცაბაძე. დამდგმელი — ბ. გელოვანი.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. მოსეშვილმა, მსახიობებმა რ. ბერძენიშვილმა, ე. წოწორიამ, გ. ჭუმბაძემ და სხვ.

ვ. ცოფაია.

ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲤᲣᲜᲯᲘᲗ

დუშეთი. (საკ. კორ.). კულტურის სარაიონო სახლში გაიხსნა თვითმოქმედ მხატვართა გამოფენა, სადაც სამოცდათზე მეტი ექსპონატია წარმოდგენილი.

გამოთვენა მოეწყო საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ინიციატივით.

თვითმოქმედი მხატვრების ნამუშევრებიან უმეტესობა პეიზაჟებია. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ი. კანიგინის „პეიზაჟი“, რომელიც თვალწინ გადაგიშლით ჯვრის მონასტრის დიდებულ სანახაობას, აგრეთვე მ. ისაკაძის მხატვრული ტილოები „საჩიტია“, „მინდა ციხე“, „მეცხვარეები“.

მოსაწონია ჯ. ხუციშვილის „დღეობა“ და „ეტიუდი“, საინტერესოა მისივე ჩანახატები „გამხიარულდი ბუხარო“ და „ძველი სოფლის სურათები“.

ოსტატურად არის შესრულებული ე. კოპაძის „ბებერთის პეიზაჟი“ (ფანქარი), დ. ნავროზაშვილის „პეიზაჟი“, „სიმინდის რეცეპტ“, ო. ჩიტალაძის „ჩემი ოთახი“, ო. ჩხარტიშვილის „ქალის პორტრეტი“ და სხვ.

გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

● სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმს სტუმრად ეწვია აფხაზეთში დასასვენებლად მყოფი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ მუშაკთა ჯგუფი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე სოხუმის მთაზე ასვლამ, საიდანაც მათ იხილეს სოხუმის პანორამა. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე ბოტანიკური ბაღი.

● ცხინვალი. (საკ. კორ.). დღითიდღე ფართოვდება კომუნალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საოლქო ცენტრში. ახლახან დამთავრდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ორი 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ჯაფარიძისა და მოსკოვის ქუჩებზე, 12 ბინიანი სახლი ისაკის ქუჩაზე. კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს ელექტროვიბრომანქანებისა და მომინანქრებული სადენის ქარხნების მუშებმა, მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკებმა.

● აბაშის სარაიონო კულტურის სახლში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მინიატიურების ანსამბლმა გამართა კონცერტი — მიმოხილვა „შინ და გარეთ“. მომოხილვის ავტორია ი. ხუნწარია, კომპოზიტორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ცაბაძე. დამდგმელი — ბ. გელოვანი.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. მოსეშვილმა, მსახიობებმა რ. ბერძენიშვილმა, ე. წოწორიამ, გ. ჭუმბაძემ და სხვ.

ვ. ცოფაია.

ᲐᲛ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ და ᲕᲐᲟᲔᲑᲘᲗᲐ სამხრეთ ოსეთიდან, წელს დაამთავრეს მოსკოვში ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრალური სტუდია. შემოდგომიდან ისინი ახალი ენერგიით შეუდგებიან შემოქმედებით მუშაობას ცხინვალის ხეთაგუროვის სახელობის დრამატულ თეატრში.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲘᲡᲔᲕ ᲐᲯᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲪᲔᲑᲐᲖᲔ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 28 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). სამი სახელმწიფოს (სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის) ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ქვეკომიტეტის დღეგანდელ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ა. დინმა კვლავ წარადგინა ინგლის-ამერიკის ორი წინადადება, რომლებსაც მან და მისმა ინგლისელმა პარტნიორმა ჯ. გოდბერმა ასეთი ზმაურით გაუკეთეს რეკლამა კომიტეტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე.

საბჭოთა დელეგაციამ საბოლოოდ გაფაფტა დღეს ბუფუსი, რომელშიც უნდოდათ გაეხვიათ დასავლეთის დელეგაციის გუშინ ეს დოკუმენტები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პირველი წინადადება, რომელიც ეხება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას ყველა გარემოში, განაცხადა ვ. ვ. კუზნეცოვმა, არსებითად არის მხოლოდ გარეგნულად უფრო დეტალიზებული ფორმით, ხელშეკრულების ფორმით გადმოცემული შინაარსი, იმ ეგრეთ წოდებული „ახალი“ წინადადებებისა, რომელთა შესახებ განაცხადა ა. დინმა ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ აგვისტოს დამდეგს. ყოველგვარ გარემოში ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების პროექტის ქვაკუთხედი კვლავინდებურად რჩება მოთხოვნა ადგილზე სავალდებელო საერთაშორისო ინსპექციის შესახებ, რომელსაც აყენებენ დასავლეთის სახელმწიფოები, ხელმძღვანელობენ რა თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით, რასაც საერთო არა აქვს რა კონტროლთან ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი.

ყველა ატომური გამოცდა, მათ შორის მიწისქვეშა ატომური აფეთქებებიც, რომლებსაც დღემდე აწყობდნენ, იქნებოდა ეს საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი თუ საფრანგეთი, აღინუსებებოდა ალმოჩენის ეროვნული საშუალებებით სხვადასხვა ქვეყანაში — არავითარი სხვა საშუალება დღემდე არ არსებობდა და არც არსებობს. სწორედ ინიტომ, რომ შესაძლებელის ატომურ აფეთქებათა ალმოჩენა დიდ მანძილებზე და საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაკრას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემა. საბჭოთა კავშირმა 1961 წლის 28 ნოემბერს შეიტანა ატომური იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ალმოჩენის ეროვნულ საშუალებათა გამოყენებას ასეთი შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის მიზნით.

მაგრამ, როგორც ცხადდა ამ წინადადების განხილვამ სამი სახელმწიფოს კომიტეტში, დასავლეთის სახელმწიფოები არ ფიქრობენ დადგნენ ყველა ატომური გამოცდის დაყოვნებლივ შეწყვეტის გზას. ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ საკალდებულო საერთაშორისო ინსპექციას ადგილზე როგორც ატომურ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ შეთანხმების აუცილებელ პირობას. დასავლეთის მხრის ასეთი პოზიციის შედეგად შეიქმნა მდგომარეობა, როცა მოლაპარაკება ამ საკითხზე კვლავ ჩიხში აღმოჩნდა.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის რვა მონაწილე ნეიტრალისტურმა სახელმწიფომ, რომელნიც კანონიერად არიან შემფოთებული მოლაპარაკების მსვლელობის გამო, მეტად სასარგებლო წვლილი შეიტანა კომიტეტის მუშაობაში.

მომდინარე წლის 16 აპრილს მათ წამოაყენეს ცხობილი კომპრომისული წინადადებანი, რომელნიც კონსტრუქციულ ნაბიჯს წარმოადგენენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის მთელი პროგრამის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების უსწრაფესი მოღწევის მიზნით საბჭოთა კავშირი დათანხმდა მიეღო რვა სახელმწიფოს მემორანდუმი, როგორც საფუძველი შეთანხმებისა აღნიშნულ საკითხზე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებიც უარს ამბობენ მიიღონ რვა სახელმწიფოს მემორანდუმი როგორც საფუძველი ასეთი შეთანხმებისა და ცდილობენ ჩამოშორონ მას ყურადღება, 27 აგვისტოს 18 სახელმწიფოს კომიტეტის განსახილველად შეიტანეს ატომური იარაღის გამოცდის „ნაწილობრივი“ შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ასეთი გამოცდების აკრძალვას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, მაგრამ უტოვებს სახელმწიფოებს შეუზღუდველ უფლებას განაგრძონ ატომური იარაღის გამოცდები მიწის ქვეშ.

რა შეიძლება ითქვას ხელშეკრულების ასეთი პროექტის გამო? საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს იმას, რომ შეწყდეს ყველა ექსპერიმენტული ატომური აფეთქება — ატმოსფეროში, კოსმოსში. წყალქვეშ და მიწის ქვეშ — რომ აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდები ყოველგვარ გარემოში. ყველა ატომური აფეთქების აკრძალვა ყოველ გარემოში საჭიროა იმისათვის, რომ შეწყდეს ატომური იარაღის სრულყოფა, მისი გავრცელება და ამრიგად შეჩერდეს ან ყოველ შემთხვევაში შეფერხდეს უარესად საშიში გამალებული ატომური შეიარაღება.

დასასრულ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის დაუყოვნებლივ შეთანხმდეს აღნიშნულ წინადადებათა საფუძველზე ატომოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში, წყალქვეშა და მიწის ქვეშ ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ.

სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ ინგლისის დელეგატმა ჯ. გოდბერმა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ა. დინმა აღნიშნეს, „საბჭოთა დელეგაციის პოზიციამ „ინედი გაგვიცრუეთ“.

დათქვეს, რომ კომიტეტის ორი თანამეთავმჯდომარე შეთანხმდებიან ქვეკომიტეტის მორიგი სხდომის თარიღის შესახებ.

ᲐᲡᲣᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲒᲐᲖᲔ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 28 აგვისტო. (საკდესი). ასუანის მაღლივი კაშხალის საქმეთა მინისტრმა მუსა არაფამ ინტერვიუში, რომელიც მისცა გაზეთ „ალ-აჰრამის“ წარმომადგენელს, განაცხადა, რომ სამუშაოები ასუანის კაშხალის მშენებლობაზე არ წყდება არც ღამით, არც ღამით. ასუანში, თქვა მან, უწყვეტ ნაკადად მოდის საბჭოთა მოწყობილობა. მარტო მიმდინარე წლის იანვრიდან ივლისის დამლევამდე ჩვენ მივიღეთ 25.000 ტონა ასეთი მოწყობილობა დამატებად 32.000 ტონისა, რაც საბჭოთა კავშირმა 1960 და 1961 წლებში გაგზავნა ზონა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ 1962 და 1963 წლებში შესასრულებელია ასუანის კაშხალის მშენებლობის პიკეული რიგის სამუშაოთა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ამისათვის თქვა მან, საჭიროა დამატებითი მუშა-ხელი.

მუსა არაფამ განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ამსწრეხით მიღებული დადგენილება მაღლივი კაშხალის მშენებლობაში სამხედრო სპეციალისტების ჩაბმის შესახებ საშუალებას მოგვცემს გადავლახოთ ახლანდელი სიძნელეები, რომლებიც კვალიფიციური კადრების ნაკლებობასთანაა დაკავშირებული.

დასასრულ მუსა არაფამ განაცხადა, რომ ასუანის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები წარმატებით სძლევენ არსებულ სიძნელეებს და გამოთქვა რწმენა, რომ მაღლივი კაშხალის მშენებლობა დამთავრდება ვადაზე, ესე იგი 1970 წლისათვის.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲑᲔᲠᲚᲘᲜᲔᲚᲘ ᲣᲚᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 29 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დასავლეთ ბერლინის ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა გეჰ�დანელიუსმა გუშინ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით წინაღმდეგობა გაუწიოს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების მოწინააღმდეგეთა პროვოკაციებს.

ადნის საგაგეხოს ცნობით დანელიუსმა აღნიშნა, რომ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის უმრავლესობა უარყოფს ამ პროვოკაციებს. „საზავო ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი, — განაცხადა მან, — უთმედო ჩიხში მოექცნენ... ავტორიტეტი სენატისა, რომელსაც ბრანდტი მეთაურობს, განსაკუთრებით შელახულია მუშათა ოლქებში. ფამილტთა ბანდების პროვოკაციებმა მთელი მშვიდობისმოყვარე მსოფლიო შეაძრწუნეს“.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ბევრი საინტერესო სპორტული ასპარეზობა, ჩემპიონატები მოელით გულშემატკივრებს.

აი ამ ასპარეზობათა ერთი ნაწილი:

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს პაექრობა საჭადრაკო დაფებთან. ეს არის მეთხუთმეტე საჭადრაკო ოლიმპიადა ბულგარეთში, რომელიც 15 სექტემბერს დაიწყება. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან ამ შეჯიბრებაზე მიწვეულები არიან მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, ამ ტიტულის პრეტენდენტი ტ. პეტროსიანი, სსრ კავშირის ჩემპიონი ბ. სპასკი და სხვ.

16 სექტემბერს მოსკოველები დიდი ასპარეზობის მოწმენი გახდებიან. აქ დაიწყება მსოფლიო პირველობაზე საჭადრაკო მატჩი ე. ბიკოვასა და ნ. გაფრინდაშვილს შორის.

ამავე თვეში (12 სექტემბერი) ბელგრადში გაიმართება ევროპის პირველობის გათამაშება. მძლეოსნობაში. ბუდაპეშტში 16 სექტემბერს დაიწყება ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბლეკპულში შედგება ევროპის პირველობა ცხენოსნობაში, რიგაში — საკაგშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში და სხვ.



ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲐᲠᲤᲚᲔᲑᲘᲗ, ᲜᲘᲦᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲗ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ, 29 აგვისტო. (საქდესი). წყალქვეშა სპორტში პირველი საკავშირო შეჯიბრების შემდეგ, რომელიც ყირიმში მოეწყო, ყველგან გაიზარდა „ცისფერი კონტინენტის“ დამპყრობთა რიგები. საბჭოთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ხებაყოფლობითი საზოგადოების საზღვაო კლუბებმა ეკვე ბევრი წყალქვეშელი სპორტსმენი მოამზადეს.

იმისთვის, რომ გამოვლინებულიყვნენ ამ შორის საუკეთესონი, სოხუმში ოთხ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის მეხუთე პირად-გუნდური პირველობა წყალქვეშა სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 120 სპორტსმენმა — ყველა რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებმა.

პირველი ორი ვარჯიში—ცურვა ფარფლებით, ნიღბითა და მილით, ჩქარული ყვიხთვა ბანსაზღვრულ ფრანგინეგებზე—მოეწყო ღია საცურაო აუზში, კომპასის მიხედვით აკვალანგით ხელა კი — სოხუმის ყურეში.

ოთხი დღის ბრძოლის შედეგად პირველი ადგილი დაიკავა უკრაინის გუნდმა, მეორე — ესტონეთის, მესამე — ლენინგრადის სპორტსმენებმა. საქართველოს გუნდი მეათე ადგილზე გამოვიდა.

შეუპოვარი იყო ბრძოლა პირადი პირველობისათვის. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი წყალქვეშა სპორტში ამჯერად გახდა მოსკოველი სვეტლანა ბოლდოვა, ვაჟთა შორის — შეიარაღებული ძალების გუნდის წარმომადგენელი იური ნაუმჩეკი.

მეორე ადგილი პირად ჩათვლაში დაიკავა საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენმა ლიდა კონოვალოვამ, ვაჟთა შორის კი — ესტონელმა ა. ტულემა.

მესამე ადგილები ნაბამისად დაიკავეს ნინო სილიაკოვამ (ლატვია) და ა. გოდოვანიმ (უკრაინა).

„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 29 აგვისტო. (საკდესი). ღღეს იტალიაში გაემგზავრნენ ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდის ფეხბურთელები. პირველ მატჩს ზენიტელები გამართავენ 1 სექტემბერს გენუაში „სამპდორიასთან“. შემდეგ ითამაშებენ 6 სექტემბერს მოდენაში და 9 სექტემბერს ლივორნოში.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

„ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲠ-2“-ᲘᲡ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის პრესა იუწყება მონაცემებს, რომლებიც ეხება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას ყველა გარემოში, განაცხადა ვ. ვ. კუზნეცოვმა, არსებითად არის მხოლოდ გარეგნულად უფრო დეტალიზებული ფორმით, ხელშეკრულების ფორმით გადმოცემული შინაარსი, იმ ეგრეთ წოდებული „ახალი“ წინადადებებისა, რომელთა შესახებ განაცხადა ა. დინმა ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ აგვისტოს დამდეგს. ყოველგვარ გარემოში ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების პროექტის ქვაკუთხედი კვლავინდებურად რჩება მოთხოვნა ადგილზე სავალდებელო საერთაშორისო ინსპექციის შესახებ, რომელსაც აყენებენ დასავლეთის სახელმწიფოები. ხელმძღვანელობენ რა თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით, რასაც საერთო არა აქვს რა კონტროლთან ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი.

ყველა ატომური გამოცდა, მათ შორის მიწისქვეშა ატომური აფეთქებებიც, რომლებსაც დღემდე აწყობდნენ, იქნებოდა ეს საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი თუ საფრანგეთი, აღინუსებებოდა ალმოჩენის ეროვნული საშუალებებით სხვადასხვა ქვეყანაში — არავითარი სხვა საშუალება დღემდე არ არსებობდა და არც არსებობს. სწორედ ინიტომ, რომ შესაძლებელის ატომურ აფეთქებათა ალმოჩენა დიდ მანძილებზე და საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაკრას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემა. საბჭოთა კავშირმა 1961 წლის 28 ნოემბერს შეიტანა ატომური იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ალმოჩენის ეროვნულ საშუალებათა გამოყენებას ასეთი შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის მიზნით.

მაგრამ, როგორც ცხადდა ამ წინადადების განხილვამ სამი სახელმწიფოს კომიტეტში, დასავლეთის სახელმწიფოები არ ფიქრობენ დადგნენ ყველა ატომური გამოცდის დაყოვნებლივ შეწყვეტის გზას. ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ საკალდებულო საერთაშორისო ინსპექციას ადგ